ხაშურის მოამბე

№19 (270) 24 აგვისტო, ორშაბათი, 2020 წელი

"თითოეულ ონკოპაციენტს მიეცემა შესაძლებლობა ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი, ყველანაირი პირადი გადასახადების გარეშე" – გიორგი გახარია

პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით მთავრობის სხდომაზე განიხილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული ონკოპაციენტებისთვის დაფინანსების 8 000 ლარით გაზრდა.

გახარიას განმარტებით, ამ დრომდე აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე ონკოპაციენტებს მკურნალობის ნაწილის საკუთარი ხარჯებით დაფარვა უწევდათ, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ზემოთ აღნიშნულ ინიციატივას დაამტკიცებს ონკოპაციენტებს ფაქტობრივად სრულად აუნაზღაურდებათ მკურნალობის ხარჯები.

გახარიას თქმით, საქართველოში მოცემულ მომენტში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 1972 ონკოპაციენტი სარგებლობს.

ამ დროისთვის საყოველთაო ჯანდავით მოსარგებლე ონკოპაციენტებისთვის მკურნალობისთვის საჭირო თანხის ლიმიტი 15 000 ლარით განისაზღვრება, გაზრდის შემთხვევაში კი აღნიშნული თანხა 23 000 ლარამდე გაიზრდება.

- 200 ლარიანი დახმარება - ბავშვებს -

ადგილობრივი თვითმმართველობა რეგისტრაციის პროცესში დაგეხმარებათ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია 0- დან 17 წლის ჩათვლით ბავშვებისთვის 200-ლარიანი დახმარების მისაღებად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, სპეციალურ პორტალზე http://daxmareba.moh.gov.ge/ რეგისტრაციის პროცესში დახმარებას გაუწევს

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობას (ხაშური, ტაბიძის ქ. 2, ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული ტელ: 24 1502) ან ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას (ხაშური, ძნელაძის ქ. 10 ტელ: 24 5948) 10-დან 17 საათამდე.

დახმარება გაიცემა, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ელ. განაცხადის შევსების საფუძველზე.

რეგისტრაცია პირველ დეკემბრამდე გაგრძელდება. დახმარების გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

იმ შემთხვევაში, თუ პირი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლას ვერ ახერხებს, უნდა მიმართოს:

ადგილობრივი თვითმმართველობებს;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლებს და საზოგადოებრივ ცენტრებს;

„ლიბერთი ბანკის" ფილიალებს.

ელექტრონულ პორტალზე უნდა განთავსდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელზე კომერციულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (ბანკის ანგარიშის ნომერი);

მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ვერ ხდება ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთკავშირის დადასტურება, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისას საჭირო გახდება ბავშვის დაბადების მოწმობის ატვირთვა.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ ვერ ხდება ბავშვსა და კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთკავშირის დადასტურება, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისას საჭირო გახდება მეურვედ/მზრუნველად დანიშვნის გადაწყვეტილების ატვირთვა.

ელექტრონულ პორტალზე შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1505.

17 წლის ასაკის ჩათვლით, თითოეულ ბავშვზე 200-ლარიანი დახმარების გაცემა StopCov ფონდში საქართველოს მოქალაქეებთან, ბიძინა ივანიშვილთან და ბიზნესთან ერთად ფინანსების მობილიზების შედეგად გახდა შესაძლებელი.

პროგრამა მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის III ეტაპის ფარგლებში ხორციელდება.

17 წლის ჩათვლით ბავშვებისთვის, 200-ლარიანი დახმარების მისაღებად

რეგისტრაციის პროცესში კონსულტაციას ადგილობრივი თვითმმართველობაც გაგიწევთ

DAXMAREBA.MOH.GOV.GE

ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის 2020 წლის 5 თვის(1 იანვარი-31 მაისი) ანგარიში

საანგარიშო პერიოდში, ხაშური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მიერ ჯამში გაწეული იქნა 913 კონსულტაცია

მუნიციპალიტეტი	დარგობრივი მიმართულებით გაცემული კონსულტაციები	სახელმწიფო პროგრამებზე გაცემული კონსულტაციები (რაოდენობა	სულ გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა რაოდენობა ვიზეც იქნა კონსულტაცია გაცემული	ოფისში მიმართვიანობა	სოფლებში გასვლების რაოდენობა	რამდენი სოფელი იქნა მოცული	სატელეფონო ზარები და სმს შეტყობინებების რაოდენობა
ხაშური	277	636	913	1381	494	33	33	326

1381 ფიზიკურ პირზე. საიდანაც სას. სამ. დარგების მიმართულებით შეადგენს 277 კონსულტაციას, ხოლო სახელმწიფო პროგრამებზე/პროექტებზე - 636 კონსულტაციას .

ოფისებში მომართვიანობა - 494;

5 თვის განმავლობაში მოვიცავით 33 სოფელი;

გაწეული კონსულტაციები სატელეფონო საუბრით, შ შ შეტყობინებები - 326;

გაწეული კონსულტაციები სოც. ქსელით - 59;

შეხვედრები ფერმერებთან და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებთან

მიმდინარე წლის 5 თვეში ცენტრის სპეციალისტების მიერ მოეწყო შეხვედრები ფერმერებთან და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებთან, წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით და ყოფელკვირეული სამოქმედო გეგმის მიხედვით. შეხვედრები იმართებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, უბნების მიხედვით, საველე პირობებში და სადემონსტრაციო ფართობებში. გასვლითი შეხვედრები ჩატარებულ იქნა 7 ადმინისტრაციული ერთეულის 33 სოფელში, რომელსაც დაესწრო 501 ფერმერი და აგრარული საკითხებით დაინტერესებული პირი.

დამსწრე საზოგადაოებას ვაცნობდით სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებს, რომლებიც მოქმედებაში იყო იმ დროისათვის და ასევე ისეთ პროექტებს, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო მომდევნო პერიოდში. ფერმერებს ჰქონდათ საშუალება ცენტრის სპეციალისტებისაგან მოესმინათ მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებისათვის ნიადაგის მომზადების, მცენარეთა თანამედროვე ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანა-შენახვის, მეცხოველეობის დარგის და მეფუტკრეობის განვითარების საკითხებზე და სხვა.

დამსწრეებს ვურიგებდით სააგენტოს და სამეცნიერო ცენტრის მიერ გამოცემულ ბროშურებს, სამინისტროს ყოველთვიური გაზეთის ახალ ნომრებს და სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებულ ბეჭვდურ მასალებს და სხვა.

გასვლითი შეხვედრებისას და ოფისში ვიზიტისას, ფერმერებს ვაძლევდით რჩევა-დარიგებებს და ვუწევდით კონსულტაციებს მცენარეთა მავნებელი დაავადებების წანააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე და მრავალწლიანი კულტურების საგაზაფხულო სხვლა-ფორმირებისა და სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენების საკითხებზე. ასევე, ვატარებდით მიწის სარწყავი წყლის ზოგად ტესტურ ანალიზებს მრავალწლიანი კულტურების ბაღებში ფერმერთა მოთხოვნებისდა მიხედვით. ფერმერებს სათანადო დახმარებას ვუწევდით საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიის ნორმალურად წარმართვისათვის, როგორიცაა ტექნიკით უზრუნველყოფა, ლოჯისტიკის სერვის ცენტრის წარმომადგენლების საქმის კურსში ჩაყენებით, ასევე სათესლე და სარგავი მასალების მოძიებაზე და სხვა.

ფერმერებთან შეხვედრებისას, როგორც ადგილზე ასევე, ცენტრის ოფისში ვიზიტისას, გარდა იმისა, რომ მათ ვაძლევდით კონსულტაციებს და რჩევებს მათთვის საინტერესო აგრარულ საკითხებზე, მათგანაც ვისმენდით დარგში არსებულ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ზემდგომი ორგანოების ჩარევა. მათ მიერ დასახელებული პრობლემებიდან უკვე გადაწყდა აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამების და სხვა ანტიკრიზისული გეგმით გათავლისწინებული პროგრამები, მაგრამ კვლავ გადაწყვეტას მოითხოვს გასარწყავების საკითხი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და, აქედან გამომდინარე, ფერმერების საქმიანობა, დაბალი მოსავლიანობის გამო, არაეფექტურია.

საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ცენტრის სპეციალისტები სამსახურეობრივ საქმიანობას წარმართავდნენ მორიგეობისა და დისტანციურ რეჟიმში, რომლის დროსაც მოქალაქეებზე კონსულტაციები გაიცემოდა სატელეფონო საუბრებით, შესაბამისად, რაიმე სახის შეფერხებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული პროცესი ხორციელდებოდა როგორც სააგენტოს, ასევე რეგიონული სამსახურის წარმომადგენლების თანადგომით.

სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალებით, ორგანიზება გავუკეთეთ ცენტრის სასამსახურო ოთახებში აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად მოსამზადებელ სამუშაოებს, სახელდობრ: ცენტრის შესასვლელებთან გაიკრა სააგენტოს მიერ გამოგზავნილი კითხვა-პასუხები სახელმწიფო პროგრამების შესახებ, აგრეთვე, კოვიდ - 19-ის წინააღმდეგ შემუშავებული რეგულაციების მანიშნებლები. შესაბამისი მანიშნებლები, განთავსდა იატაკზეც, 2 მეტრიანი დისტანციის დასაცავად. მერიის დახმარებით, შესასვლელებში მიმდინარეობს თერმოსკრინინგი და მოეწყო დეზობარიერები, აქედან გამომდინარე, 20 მაისიდან ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური მომზადებული შეუდგა აგრო-დიზელის ფასდაკლების ტალონების გაცემას მოქალაქეებზე. აღნიშნულ საქმიანობაში დახმარებას გვიწევს მერიის შესაბამისი სამსახურის ორი თანამშრომელი. ეს პროცესი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში, ყოველი კვირის სამშაბათს, საგანგებო მდგომარეობის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს ვახდენდით მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან(ყველა ადმინისტრაციული ერთეული), რომელთაც ვაწვდიდით ინფორმაციას ყველა პროგრამებზე, რომელიც მოქმედებაში იყო ან უნდა განხორციელებულიყო მომავალში, აღნიშნულ ქმედებას ვაგრძელებდით ასევე საგანგებო სიტუაციებშიც, მხოლოდ დისტანციური რეჟიმის პირობებში.

კოლეგიალური ურთიერთობა გვქონდა და გვაქვს მუნიციპალიტეტის მერთან, მერიის სამსახურებთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან, რომელთა თანდასწრებითაც მრავალი შეხვედრა იქნა მოსახლეობასთან ჩატარებული. ასევე საქმიანი ურთიერთობა გვქონდა პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან და მისი ბიუროს მუშაკებთან.

ადგილობრივ გაზეთში „ხაშურის მოამბე“ პერიოდულად ვაქვეყნებით სტატიებს აგრარულ საკითხებზე და ფერმერთა საქმიანობაზე და სხვა.

აგრარულ თემებზე ვიდეო-მასალების გასაცნობათ შეუფერხებლად ვამუშავებდით ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ მონიტორს, სადაც ასობით ფერმერსა და აგრარული საკითხებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ აგრარულ სფეროში არსებულ მოწინავე ქვეყნების ტექნოლოგიებს, ასევე მაისის ბოლო დღეებიდან უკვე მონიტორზე მიმდინარეობს ინტერნეტის საშუალებით, ცენტრალიზებულად, სააგენტოს მიერ მომზადებული ვიდეო-რგოლი, ანტიკრიზისულ პერიოდში განსახორციელებელ აგრო-პროექტებზე.

საანგარიშო პერიოდში, ყოველკვირეულად გადმოიცემოდა ოპერატიული ინფორმაცია საგაზაფხულო ხვნა-თესვის მინდინარეობის შესახებ და 5 ივნისის მდგომარეობით, გაზაფხულზე, სავარაუდოთ, მოიხნა 4140 ჰექტრამდე ფართობი, დაითესა საგაზაფხულოდ 7560 ჰექტარზე მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა საგაზაფხულო კულტურები, მათ შორის, გასული წლის შემოდგომით მოხნულ 3420 ჰექტარ ფართობზეც.

სტიქია საანგარიშო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ დაფიქსირებულა.

19 თებერვალს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ქ. გორში გაიმართა კონფერენცია რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა ყველა უწყებამ. კონფერენციის მსვლელობისას თითოეულმა ორგანიზაციამ გააკეთა პრეზენტაცია მათ მიერ გაწეული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელებაც ცენტრის ყოველდღიურ მუშაობაში აისახება.

კონფერენციაზე მოცემული დავალების შესრულების მიზნით შედგენილი იქნა ფერმერებთან და სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობასთან შეხვედრების გრაფიკი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მიხედვით, რომელიც ვერ განხორციელდა ცნობილი მოვლენების გამო.

ტრენინგები

მიმდინარე წლის 5 თვეში ჩაგვიტარდა სამი ტრენინგი, მათ შორის:

19 თებერვალს ქ. თბილისში და 20 თებერვალს, წალკაში, ჩატარდა ტრენინგი AFD-ს ორგანიზებით, სახელწოდებით „მოგების მარჟის დაანგარიშება და მისი გამოყენება საექსტენციო მომსახურებაში“. ტრენინგს ესწრებოდა ცენტრის უფროსი სპეციალისტი თინათინ ახალკაცი.

24 თებერვალს, ქ. ქარელში და 25 თებერვალს, ქ. გორში, ჩატარდა ტრენინგი მეხილეობაზე, ფრანგი სპეციალისტის ხელმძღვანელობით. ტრენინგს ესწრებოდდნენ ცენტრის მთავარი სპეციალისტი ჯემალ გელაშვილი და წამყვანი სპეციალისტი ავთანდილ გოგალაძე.

2 მარტს ქ. თბილისში FAO - ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - გენდერული მეინსტრიმინგი სოფლის მეურნეობაში. ტრენინგს ესწრებოდა ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ავთანდილ გოგალაძე.

ტრენინგები ფერმერებისათვის

17 იანვრიდან 14 თებერვლამდე, ცენტრის ორგანიზებით, ტარდებოდა მეფუტკრეთა ტრენინგი, 15 კაციანი ჯგუფის მონაწილეობით. ტრენინგს უძღვებოდა მეფუტკრე-ფერმერი გიორგი ჯელაძე.

27 და 28 თებერვალს, ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით „კენკროვანი კულტურების მოვლა მოყვანის ტექნოლოგია“, რომელსაც ესწრებოდა 27 ამ დარგით დაინტერესებული ფერმერი. ტრენინგს უძღვებოდა ცენტრის წამყვანი სპეციალისტი როინ კურტანიძე.

ინფორმაცია გაცემულ ცნობებზე

საანგარიშო პერიოდში, ფერმერებთან ჩატარებული რჩევების გათვალისწინებით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გაცემული გვაქვს 24 დასკვნა ჯამში 14.2 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის „დანერგე მომავალი“-ს ბაღების კომპონენტის ფარგლებში 3 დასკვნა 7.2 ჰექტარ ფართობზე და „დანერგე მომავალი“-ს კენკროვანი ქვეკომპონენტის ფარგლებში 21 დასვნა 7 ჰექტარ ფართობზე.

ამასთან, სააგენტოში, ჩვენს მიერ კენკროვანი კულტურების გაშენებისათვის პირველადი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილია 15 ბენეფიციარზე, მეორადი განაცხადი კი 14 ბენეფიციარზე, ჯამში 7 ჰექტარზე. ხილის ბაღების გაშენებისათვის წარმოდგენილია 2 განაცხადი ჯამში 1,2 ჰექტარზე. ასევე სააგენტოში იგზავნება ყველა ბენეფიციარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები, შესაბამისი განცხადებებით.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია

კომუნისტურმა რეჟიმმა თავისი მსახვრალი ხელი მხოლოდ ჩვენს სამშობლოს კი არა, ლამის მთელს მსოფლიოს დაატყო. 70 წელი იბოგინა საქართველოში ამ რეჟიმმა და დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რას გაუძლო ქვეყანამ და რა საშინელი წლები გამოიარა. პუბლიკაციები, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1938 წელს, ხაშურის ადგილობრივ გაზეთში _ „ბოლშევიკურ სიტყვაშია“ დაბეჭდილი. მათი ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, დარწმუნდე, რომ ბოლშევიზმი, რომელიც რუსულ წიაღში იშვა, მართლაც პოლიტიკური შავი ჭირი იყო კაცობრიობისთვის. მაშ ასე, 1938 წელი, რა ხდებოდა ჩვენს რაიონში თითქმის საუკუნის წინ.

ბოლომდე მოვსპოთ ხალხის მტრები

ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, არასოდეს არასოდეს არ დაგვიწყებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მტრები.

სოციალიზმის დიდმა გამარჯვებებმა გამოიწვიეს მტრული ძალების დიდი სიძულვილი, ექსპლუატატორული კლასები ლიკვიდაციაქმნილი არიან, მაგრამ მათი ნაშთები აგრძელებენ წინააღმდეგობას და მიმართავენ ბრძოლის ყველაზე საზიზღარ ფორმებს. მსოფლიოს კაპიტალიზმი სრულებითაც არ ურიგდება სოციალიზმის გამარჯვებას სსრ კავშირში, ის ოცნებობს რადაც არ უნდა დაუჯდეს დაამხოს საბჭოთა ხელისუფლება.

კაპიტალისტური ქვეყნების დაზვერვა გზავნის ჩვენში ჯაშუშ-დივერსანტულ ბანდებს დამანგრეველი მუშაობისთვის. სამგზის საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდიტები გახდნენ ფაშიზმის უერთგულეს ლაქიები. მათ იკისრეს ჩვენს ქვეყანაში საზიზღარი როლი ჯაშუშობის, დივერსიის და მკვლელობის ორგანიზატორობისა.

ამხანაგი სტალინი ასწავლის პარტიასა და ხალხს გამოიცნონ მტრები, როგორ ნიღაბქვეშაც არ იმალებოდნენ ისინი.

სახელოვანი შინსახკომელები, სტალინის ერთგული მოწაფის ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით, დაუნდობლად ამჟღავნებენ და სპობენ ფაშისტურ ჯაშუშურ ბანდიტებს, კონტრევოლუციონურ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. ფაშისტური აგენტები, ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები უმზადებდნენ ჩვენს ხალხს აუარებელ უბედურებას, ისინი ფიქრობდნენ საბჭოთა დიდი რესპუბლიკა სისხლში ჩაეხშოთ. სპობს რა ფაშისტურ ქვეწარმავლებს საბჭოთა ხელისუფლება და დიდ სახალხო საქმეს აკეთებს. ამიტომ ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი მტრული ძალების დაუნდობელი მოსპობის შესახებ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთსულოვან მოწონებას და თანაგრძნობას იწვევს.

მტერი ჯერ კიდევ განაგრძობს წინააღმდეგობას. ვიყოთ ფხიზელი, რომ გამოვათრიოთ ყველა ჯაშუში უკანასკნელი სოროებიდან და საბოლოოდ მოვსპოთ ისინი.

არავითარი შებრალება ხალხის მტრებს

2 მარტს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, შესდგა რკინიგზის მოზრდილთა სრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიტინგი. მასწავლებელმა სტ. გუნთაიშვილმა მიტინგს გააცნო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ კონტრრევოლუციური საქმიანობა.

– ეს გაცოფებული ძაღლები,- სთქვა მან,- ცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება, დაექუცმაცებინათ უძლიერესი, საამური ცხოვრების მატარებელი საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი, ამისათვის ისინი არაფერს ერიდებოდნენ და ჯაშუშობას, დივერსიულ-ტროცკისტულ საქმიანობას, ყოველგვარ გარყვნილებას მიმართავდნენ.

არ გამოუვიდათ! ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და სხვები შინსახკომის სახელოვანი დარტყმით სამსჯავროს წინაშე საძაგლად იკლაკნებიან. ხალხის ხმა, ხალხის განაჩენი მტრების მიმართ უსასტიკესია.

სიტყვებით გამოსულებმა: ჩადუნელმა, გოგოლაძემ, ღონღაძემ და სხვებმა ერთსულოვნად მოითხოვეს მტრების განადგურება.

გავსრისოთ მტრები

პირველ მარტს, ხაშურის სავაგონო დეპოში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. ცნობამ „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ ვერაგული მოქმედების შესახებ, მუშები უდიდესი მრისხანებით აღავსო.

სიტყვებში გამოვიდნენ: შ. მაისურაძე, მ. თომაძე, ს. გელაშვილი და სხვა. მათ ერთხმად მოითხოვეს სამშობლოს გამცემელთა ბანდის დახვრეტა.

ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში

5 მარტს შესდგა ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს აქტივის მიტინგი, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საზიზღარი საქმიანობის შესახებ.

– ჩვენ, ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს აქტივი ჩვენს ხმას ვუერთებთ ჩვენი ქვეყნის 170 მილიონიანი ხალხის ხმას და მოვითხოვთ ტროცკისტ-ბუხარინელ არამზადათა ფიზიკურად განადგურებას. მავნებელთა, ჯაშუშთა და მკვლელთა საპასუხოდ, ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და დაუზოგავად ვამხელთ ხალხის ყველა ჯურის მტერს: - ამბობს მიტინგი თავის რეზოლუციაში.

პარტიის ყველაზე ბასრი იარაღი

განუზომელია ბოლშევიკური პრესის როლი და მნიშვნელობა, ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი დავაჟკაცებული ბოლშევიკური პრესა ყოველთვის დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ. ბოლშევიკური პრესა რაზმავდა და რაზმავს მშრომელთა ფართო მასებს შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ამიტომაა, რომ ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ზრდაში შესამჩნევად მოსჩანს ბოლშევიკური პრესის როლი. 5 მაისს პირველად გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის მებრძოლი ორგანო „პრავდის“ პირველი ნომერი. ამიტომ დაწესდა და ამ დღეს ყოველწლიურად ტარდება ბოლშევიკური პრესის დათვალიერება.

მთელი ქვეყანა დაქსელილია გაზეთებით, რომელიც ხელმისაწვდომია მშრომელისათვის. „ბეჭდვითი სიტყვა უნდა იზრდებოდეს არა დრეობით, არამედ საათობით – ის ჩვენი პარტიის ყველაზე მჭრელი და ყველაზე ბასრი იარაღია“. სწორედ ამხანაგ სტალინის ამ მითითებას ასრულებდა პარტია მაშინ, როდესაც ყველა რაიონში, მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და სხვაგან აწყობდა რამდენიმე ათასი ნაბეჭდი გაზეთის გამოშვებას. ამან კიდევ უფრო გაამრავლა მუშსოფლკორთა რიგები, რომლებიც არიან საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებაა მამხილებელნი, ამ ნაკლოვანებათა მოსპობისთვის მებრძოლნი.

ჩვენში პრესა მშრომელთა ბედნიერებას ემსახურება, მას მშრომელები იყენებენ თავიანთი შეგნების გაზრდისა და სოციალისტური მშენებლობის საყვარელი საქმისათვის, რადგან „გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიცაა“ (ლენინი).

იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პრესა მუშათა კლასის დაბეჩავებისა და დამონებისკენაა გამიზნული კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ამიტომ არის, რომ მშრომელთა იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც ბოლშევიკური პრესა სარგებლობს, კაპიტალისტური პრესა მოკლებულია.

დღეს – ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის საბრძოლო დათვალიერების დღესთან დაკავშირებით, მუშსოფლკორებს აკისრიათ განსაკუთრებული როლი. მათ უნდა გამოამჟღავნონ ხალხის უბოროტესი მტრები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ქვეყნის დიად საქმეს. მუშსოფლკორებმა ჩვენი პრესის საშუალებით უნდა გამოამჟღავნონ სტახანოველები, დაეხმარონ მათ მუშაობაში, რომ მათი დაუშრეტელი ენერგია კიდევ უფრო გაიფურჩქნოს.

წელს, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღის ჩატარებამ ჩვენს რაიონში კიდევ უფრო უნდა გაზარდოს მუშსოფლკორთა მოძრაობა, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ რაიონული და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიები.

ისე, როგორც სხვა რაიონებისა, ჩვენი რაიონის სოფლები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოფენილია კედლის გაზეთებით, რომლებიც ორ კვირაში და თვეში ერთჯერ სისტემატურად გამოდიან. 5 მაისს რაიონული პრესა გარკვეული მიღწევებით ხვდება, მაგრამ გვაქვს ნაკლიც, რომლის აღმოსაფხვრელად ბრძოლა შემდგომში უფრო შეუპოვრად წარიმართება. პირველი რიგის ამოცანად დგას: გაზეთში პოლიტიკურად გამჭრიახი სარედაქციო წერილების მოთავსება, ტექნიკურად კარგად გაფორმებული და კულტურული გაზეთის გაკეთება. აგრეთვე კორესპონდენტთა დარაზმვა და კედლის გაზეთების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება. ამ ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ, გაზეთი პირნათლად შეასრულებს პარტიისა და დიდი სტალინის მოთხოვნილებებს.

ბეჭდვითი სიტყვის დღეს – ბოლშევიკური სალამი – ბოლშევიკური პრესის მგრძნობიარე ადამიანებს – მუშსოფლკორებს!

მშრომელთა წერილები

ყურაქედობაზე მოქეიფე

ღუდის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი შ. კურტანიძე ხშირად აცდენს გაკვეთილებს. 28 თებერვალს იგი ქეიფობდა და სკოლაში არ გამოცხადდა. ასევე 3 მაისს უმიზეზოდ გააცდინა მთელი სასწავლო დღე. 13 მაისს რელიგიურ დდღესასწაულ „ყურაქედობაზე“ დაესწრო თხილნარში, გაკვეთილები კი გააცდინა.

გაზეთმა ბოლშევიკურმა სიტყვამ“ თავის ფურცლებზე მოათავსა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მასწავლებელმა შ. კურტანიძემ მღვდლით ბავშვი მოუნათლა დამჩხეულელ გიორგი გოგალაძეს.

ყველაფერი ეს იცის განათლების განყოფილებამ, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია.

ი. ღუდელი

კინო-ბაზის უდარდელი გამგე

14 მაისს სურამის კინო-კლუბი უჩვენებდა სურათ „საბჭოთა სამშობლოსათვის“, სურათის სანახავად 200-ზე მეტი მაყურებელი იყო მოსული. კინომექანიკოსმა სურათის ჩვენება აპარატის შეუმოწმებლად დაიწყო. კინო-ლენტი ხშირად წყდებოდა, ხოლო სამი ნაწილის ჩვენების შემდეგ აპარატი მთლიანად მოიშალა. მაყურებლებმა 3 საათს იცადეს და წავიდნენ სახლებში.

კინო-კლუბის გამგე პ. მჟავანაძემ საჭიროდ არ სცნო დაბრკოლების მიზეზი გაეცხადებინა მაყურებელთათის.

მ. ქურდაძე.

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია

ახალი სესხი ჩვენი სამშობლოს აყვავებას და გაძლიერებას

ჩვენი რაიონის მშრომელთა შორის ახალი სესხის გამოშვებამ აღფრთოვანებული სიხარული ჰპოვა. სესხის გავრცელების პირველი დღეების შედეგები გვაძლევენ იმის სრულ საბუთს, ვთქვათ, რომ გამოშვებული სესხი, გადაჭარბებით გავრცელდება.

ღუდის, ცხრამუხის, ქვიშხეთის, ხცისის და სხვა კოლმეურნრობების არც ერთი წევრი არ დარჩენილა, რომ სესხზე ხელი არ მოეწეროს. ხაშურის ამხანაგ ლ.პ ბერიას სახელობის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს 2 ივლისს, დღის 2 საათისთვის, მთლიანად დამთავრებული ჰქონდათ სესხზე ხელისმოწერა საქ. კ.პ(ბ) ხაშურის რაიკომში და სხვა.

მაგრამ არ შეიძლება ჩვენ გულდამშვიდებას მივეცეთ და ვთქვათ, რომ სესხზე ხელისმოწერა თავისთავად ჩატარდება.

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად, ჩვენი რაიონის მშრომელებიც უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას მესამე ხუთწლედის სესხის გამოშვების შესახებ. ახალი სესხი, რომელიც მთავრობამ გამოუშვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ნება-კავშირის დასაკმაყოფილებლად, მოხმარდება მესამე ხუთწლედის გეგმის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას და ქვეყნის თავდაცვის შემდგომ განმტკიცების საქმეს.

რკინიგზის ტრანსპორტზე ქარხნებში, კოლმეურნობებში და სხვა წარმოება-დაწესებულებებში, მშრომელტა მრავალრიცხოვან კრებებზე, ხალხის მიერ ერთსულოვანი ხელისმოწერა, ნათლად ადასტურებს მშრომელთა უსაზღვრო ერთგულებას და სიყვარულს თავიანთი სამშობლოსადმი. საბჭოთა ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ დიადი მშენებლობის სესხი მოხმარდება მათ კეთილდღეობას, საბჭოთა ქვეყნის შემდგომ სიძლიერეს და აყვავებას.

ამ საპასუხისმგებლო კამპანიის ჩასატარებლად უნდა გამოვიყენოთ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკთა აქტივი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანები, სტახანოველები და დამკვრელები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის დაუძინებელი მტრები შეეცდებიან ხელი შეუშალონ მშრომელთა ინტერესების განხორციელებას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი სესხის გავრცელების საქმისათვის გავშალოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მშრომელმა იცოდეს სესხის უდიდესი მნიშვნელობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც უნდა აამაღლონ მშრომელ-მასებზე ხელმძღვანელობის როლი. ახალ სესხზე ხელის მოწერით მშრომელები კვლავ დაამტკიცებენ უსაზღვრო სიყვარულს თავიანთი სამშობლოსადმი,-ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინისადმი.

უსაზღვროა ჩემი სიხარული

ბავშვობიდან ჩემს მზანს წარმოადგენს საბჭოთა პედაგოგად გახდომა. ჩემი მიზანი განუხორციელებელი არ რჩება. მე სტალინურ ეპოქაში დავიბადე, რომელმაც შემიქმნა ყველა პირობა ფრიადზე სწავლისთვის.

ახლა ხაშურის პედაგოგიური სასწავლებლის მე-3 კურსის ფრიადოსანი მოსწავლე ვარ. უსაზღვროდ ვხარობ, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნებს მიდწევებით ვხვდები.

უსაზღვრო სიხარულით მაქვს გული ავსილი დღეს, 12 ივნისს, იმის გამო, რომ წარვდგები საარჩევნო ყუთთან და მონაწილეობას მივიღებ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში.

დღეს ჩემი ხმა ეკუთვნის საქართველოს ღირსელ შვილს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის იშვიათ მუშაკს, ხაშურის ელდეპოს უფროსს ამხ. სოსო გიორგის ძე ქურუმიძეს.

მ.კოპაძე

პიონერული საჩუქარი

უსაზღვროა სიხარული, უამრავი საჩუქარი ელოდება ლენინური კომკავშირის ბრწყინვალე თარიღს, ახალგაზრდობას ხალისს გვმატებს იმისი მოსვლა.

ჩვენ იმ დიად დღეს საზეიმო კოცონს ავანთებთ და იმის შუქზე წავიკითხავთ საკუთარ ჟურნალს, "პიონერულ თაიგულიდან" ამოსრიალდებიან მგზნებარე სიტყვები-ფიცი ბედნიერი ბავშვებისა, ფრიადოსანთა, დიდი მადლობა ჩვენი მამის-სტალინისადმი.

სურამის სრული საშუალო სკოლის პიონერთა რაზმის ხელმძღვანელი ალო გოგალაძე

მილწევებით შევხვდეთ ლენინური კომკავშირის 20 წლისთავს

ხაშურის ამხანაგ ლ.პ ბერიას სახელობის ელდეპოს კომკავშირის ორგანიზაცია ენერგიულად მუშაობს სტახანოვური მოძრაობის გაშლისთვისის ჩაება ლენინური კომკავშირის ოცი წლისთავის სახელობის გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ გამოიწვია თბილისის საორთქმავლო დეპოს კომკავშირის ორგანიზაცია. შეჯიბრებაში ჩაბმულ იქნა კომკავშირის 152 წევრი და კავშირგარეშე ახალგაზრდა-15.

შეჯიბრების გამოცხადების პირველ დღეებიდანვე ფართოდ გაიშალა საქმიანი მუშაობა კომკავშირული ბრიგადებს შორის. შესანიშნავად განმტკიცდა დეპოში ახალგაზრდათა შრომის დისციპლინა და გაიზარდა მათი საწაემოო-პოლიტიკური აქტივობა. ასე მაგალითად, ელმავალ №10-02-ზე მომუშავე კომკავშირელმა მემანქანეებმა: გ. ლაბაძემ, ვ. მიქაძემ, კახურაშვილმა და მემანქანის თანაშემწეებმა: ჯაფარაშვილმა, ბაკურაძემ და ცხოვრებაშვილმა ვალდებულებად აიღეს, რომ თავიანთი ელმავლებით ურემონტოდ და უავარიოდ გაირბინონ 200.000 კილომეტრი, დღემდე კი მათ 6.000 ნაცვლად 167.000 კილომეტრი გაირბინეს.

ელმავალ № 11.03-მა, რომელზეც კომკავშირელი მემანქანეები: მ. შიუკაშვილი, კ. სიდიროპულოვი, ვ. აბაიაძე და ვ. კაკაბაძე მუშაობენ, 6000 მაგიერ, უმარცხოდ გაირბინეს 117.000 კილომეტრი. საერთოდ, ელდეპოში თვალსაჩინოდ გაიზარდა ახალგაზრდა სტახანოველთა რიგები. ლენინური კომკავშირის 152 წევრიდან 136 სტახანოველია, კავშირგარეშე 15 ახალგაზრდიდან კი 7.

კომკავშირელი მ. შიუკაშვილი გეგმებს ყოველთვის 190 % აჭარბებს, ჭყოიძე კი 142-ს. დეპოს სარევიზიო ცეხის ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირის წევრი ვ. ქურდაძე ხელმძღვანელობს, მაისის თვის გეგმა, 340 % შეასრულა. არის სხვა მრავალი ახალგაზრდა, რომელიც ზრდის შრომის ნაყოფიერებას და გვიჩვენებს მუშაობის შესანიშნავ ნიმუშს. სტახანოველთა რიგების ზრდას, დიდად შეუწყო ხელი ტექდაუფლების წრეების ნაყოფიერმა მუშაობამ. 47 კაცმა, რომელმაც კი გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, თვალსაჩინოდ დაეუფლა ტექნიკას და დაწინაურებული იქნა საპასუხისმგებლო სამუშაოზე. კომკავშირელმა სერგო კურტანიძემ ელმავალზე სტახანოვური და კრივონოსული მუშაობისათვის მიიღო დამსახურებული ჯილდო საპატიო ნიშნის ორდენი. კაპიტონ მიქაშავიძე ელმანტიორობიდან დაწინაურდა ცეხის ოსტატად, ის გზათა სახალხო კომისრის მიერ დაჯილდოვებულ იქნა სტალინური გაწვევის ნიშნით. ტექდაუფლების წრეების მუშაობაში ელდეპოს კომკავშირის ორგანიზაციას აქვს მრავალი დეფექტიც. ჯერ კიდევ ყველა კომკავშირელი არ არის ჩაბმული ტექდაუფლების წრეებში. მეცადინეობა ტექდაუფლების წრეებშიც არ მიმდინარეობს კარგად. ადგილი აქვს მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს, მსმენელებს არ აქვთ სახელმძღვანელოები და სხვა.

ელდეპოს ადმინისტრაცია არასწორად მოქმედებს სტახანოველთა საქმიანობის გამოვლინებისათვის. დამლაგებელი მარიამ ხუციშვილი დამკვრელობიდან გადაიყვანეს სტახანოველად, რადგან ის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს. ქსენია გონგლაძე იმისთვის, რომ ის აგიტატორია, წერა-კითხვის წრეს ხელმძღვანელობს და კედლის გაზეთს უშვებს სტახანოველთა სიაში მექანიკურად შეიტანეს, მაშინ, როცა ეს სამუშაო მის სამსახურებრივ და კომკავშირულ მოვალეობას შეადგენს.. სტახანოველთა სიაში შეტანილია ისეთებიც, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. კომკავშირელი ნ. ბოლოკაძე სამუშაო დღეებს აცდენს და გეგმებს 77% ასრულებს, ხოლო იგი ამავე დროს სტახანოველთა სიაში ჰყავთ. სტახანოველი ნიკოლოზ ულუმბელაშვილი, იმის გამო, რომ წითელ არმიის რიგებში გაიწვიეს, სტახანოველთა სიიდან გამოიყვანეს.

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ელდეპოს კომკავშირის ორგანიზაციაში, არც ისე სუსტია, მაგრამ არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც. პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობას ხშირად მსმენელთა 50 ციფრით პროცენტზე მეტი არ ესწრება. ადგილი აქვს პოლიტსკოლის მამასახლისების მიერ თვალისახვევის ფაქტებს. 16 მაისს, პოლიტსკოლის მეცადინეობას 29 მსმენელიდან მხოლოდ 9 დაესწრო, აღრიცხვის ჟურნალში კი დაკლებულად არც ერთი არ იყო აღნიშნული. ამ ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს რკინიგზის მეორე განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზის ამხ. ვ. ლომიძე და კომკავშირის საკვანძო კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ხაჩიძე.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოდ სტახანოვურ მოძრაობას და ახალგაზრდების პოლიტიკურ აღზრდას.

ალ. ზურავლიევი

საბჭოთა სამშობლოს პატრიოტები

გუშინ ჩვენს რაიონში დაიწყო 1917-18 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა წითელ ჯარში გაწვევა, რაიონის მშრომელი ახალგაზრდობა უდიდესი სიყვარულით მიდის გასაწვევ პუნქტზე, რომ მშობლიურ წითელ არმიაში წასასვლელი საგზურები მიიღოს.

მისი მიზანი მხოლოდ ერთია-იყოს წარჩინებული სამხედრო ცოდნის დაუფლების საქმეში და პარტიის პირველ დაძახებისთანავე, მკერდით დაიცვას საბჭოების ქვეყანა. რომელსაც წინ უძღვება კომუნიზმის მშენებლობის დიდი ოსტატი-მშობლიური სტალინი.

საბჭოთა ქვეყნის თანატოლი ახალგაზრდები-დ. გელაშვილი-სავაგონო დეპოს სტახანოველი მუშა, ევგენი მანჩხაშვილი, მე-5 უბნის სალიანდაგო მეურნეობიდან, სპ. მესხიშვილი შჩ2-დან, ირ. ფუხაშვილი ბრეთის სასოფლო საბჭოდან, გ. ცერცვაძე-ცხრამუხიდან, დ. კამკამიძე-ქვიშხეთიდან და სხვა მრავალი. ოქტომბრის რევოლუციის დღეებში დაიბადნენ ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობასთან ერთად დავაჟკაცდნენ, ეწეოდნენ სტახანოვური მეთოდით მუშაობას. მიცემულ დავალებათა გადაჭარბებით შესარულებლად და დღეს ხალისით და ჩვენი ბედნიერი და საამური ქვეყნის ღრმა პატრიოტული გრძნობებით შეერთებულნი მიდიან გასაწვევ პუნქტზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა აღზრდილი დიდი ლენინ-სტალინის ძვირფას ტრადიციებზე არავის მისცემს უფლებას შემოჰყოს თავისი ღორული დინგი ჩვენს "საბჭოთა ბოსტანში".

ილ. ფთაძე

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი „იუსაიდისგან“ გრანტს მიიღებს

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალ ფონდსაცავში სამხატვრო, სადისკუსიო და სხვადასხვა ტიპის სივრცეები მოეწყობა. აღნიშნული სივრცეების მოწყობა „იუსაიდის“ პროგრამა „ზრდის დაფინანსებით მოხდება. კონკურსზე, მის მიმდინარეობაზე და სიკეთეებზე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების უფროს მცველს, ქალბატონ მზია ლობჟანიძეს ვესაუბრეთ:

-2019 წლის 1 ნოემბერს, ”იუსაიდმა“-მა, პროექტ „ზრდის” ფარგლებში, გამოაცხადა კონკურსი საქართველოს მუზეუმებისთვის, რის შესახებაც ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას შიდა ქართლის რწმუნებულმა, გიორგი ხოჯევანიშვილმა და ქ. ხაშურის მერმა, გიორგი გურასპაშვილმა პირადად გვაუწყეს.

პროექტი „ზრდა“ საქართველოში წარმოადგენს „იუსაიდის” -ის მიერ დაფინანსებულ ხუთწლიან პროექტს, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინთერნეიშენალი“. მისი მიზანია ადგილობრივი სუბიექტების კვალიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ბიზნეს-კავშირების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდისა და სამიზნე თემების მდგრადობის გაძლიერებაში.

„ზრდა“ უზრუნველყოფს გრანტებს მუზეუმებისთვის საქართველოს სამიზნე მუნიციპალიტეტებში, რათა დაეხმაროს მათ სამუშაო სივრცის გაუმჯობესებაში და ტექნიკურად უფრო მოწინავე მასალებზე ხელმისაწვდომობაში, ვიზიტორებთან გამოცდილების გასაუმჯობესებლად. პროგრამა მიზნად ისახავს მუზეუმებისთვის დახმარების გაწევას მათი სერვისების შემუშავებისას,ვიზიტორებთან გამოცდილების გაუმჯობესებისა და შემოსავლების ზრდის მიზნით. საგრანტო პროგრამა მოიცავს ისეთ კონცეფციებს, როგორებიცაა: მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის მოწყობა და მისი ტექნოლოგიურად მოწინავე მოწყობილობებით აღჭურვა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზება,ინოვაციური სერვისების დანერგვა,საკონსულტაციო პაკეტების შემუშავება და სხვა.

საქართველოს ექვს რეგიონში ჩანიშნული იყო საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებულ აპლიკანტებს მიეცათ მითითება სააპლიკაციო განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით. აქტივობა სამ ეტაპად განხორციელდა: მომსახურების ხარვეზების იდენტიფიკაცია და კონცეპტუალური განაცხადის წარდგენა, რის მიხედვით შერჩეული ყველაზე საინტერესო და ინოვაციური იდეების მქონე აპლიკანტები გადავიდნენ მეორე ეტაპზე; შერჩეულმა აპლიკანტებმა გავიარეთ ზრდა პროექტის მიერ შემუშავებული ტრენინგი და მივიღეთ სერტიფიკატები; წარვადგინეთ დეტალური განაცხადი ზუსტი ბიუჯეტის დართვით.

სრულყოფილი განაცხადები შეაფასა შერჩევის კომიტეტმა, რომლის მუშაობაში ჩართულები იყვნენ სამუზეუმო დარგის ექსპერტები. აღმოჩნდა, რომ საქართველოს მუზეუმებიდან 10 წარმატებულ აპლიკანტს შორის ვიყავით და გვეუწყა, რომ USAID-ის ზრდა პროექტის მიერ მივიღებთ დაფინანსებას 2523 ლარის ოდენობით, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი შეადგენს 10 პროცენტს (ეს პირობა თავიდანვე ჩადებული იყო ზრდის მიერ წამოყენებულ პირობებში).

პროექტით განვახორციელებთ შემდეგს: ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი ფონდსაცავის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტის სტელაჟებით, ამავე შენობის ჰოლში სადისკუსიო სივრცის მოწყობა შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვილობით; ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მოსაწყობად ფონდსაცავის ეზოში ფანჩატურების დამონტაჟება და მოლბერტების შეძენა. ეს აქტივობა წელიწადში ორჯერ განხორციელდება და ამით პროექტის სიცოცხლისუნარიანობა იქნება გარანტირებული; სხვადასხვა აქტივობების, შეკრებების, დისკუსიების გამართვა სადისკუსიო ჰოლში მუზეუმის შემდგომი წარმატებული საქმიანობისთვის.

პროექტის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 1 სექტემბრიდან. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის გამო, გარკვეული შეზღუდვები ისევ დაწესდება, პროექტის განხორციელება(ტექნიკური ხასიათის სამუშაოების გარდა) სხვა ფორმატში გადავა.

600-ზე მეტმა ფერმერმა - 25 ათასი ლიტრი საწვავი მიიღო

გასულ თვეებში, საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ, საზოგადოებას ანტიკრიზისული გეგმა გააცნო, რომელიც კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავების ეფექტურ გზებს ეხებოდა. გეგმამ მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო: ჯანდაცვა, განათლება, ტურიზმის სექტორის დახმარება, გადასახადების სუბსიდირება, საბანკო სესხების გადავადება, სოფლის მეურნეობა და სხვა. რაც შეეხება, სოფლის მეურნეობის სექტორის დახმარებას - ის არსებითად მნიშვნელოვნად ჩაითვალა. როგორც პრემიერმა აღნიშნა: „პანდემიის პირობებში ქვეყანამ უნდა შეძლოს შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება სურსათზე“. სხვა მნიშვნელოვან შედავათებთან ერთად, აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა დროული დახმარება აღმოჩნდა ფერმერებისათვის, რომლის ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირები, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად შეძენას შეძლებდნენ - საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის მიზანი გახლდათ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება. აგროდიზელის საწვავის ტალონების გაცემას, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი უზრუნველყოფს. 2020 წლის 20 ივნისიდან დღემდე, აგროდიზელით

ხელშეწყობის პროგრამით დაახლოებით 651 ფერმერმა ისარგებლა. სულ გაიცაა 254393 ლიტრი დიზელის საწვავი. აღნიშნული პროგრამა წლის ბოლომდე გაგრძელდება.

თ. ახალკაცი,
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსი სპეციალისტი

ქვემო აძვისში გზის მოასფალტების სამუშაოები დასრულებულია

დასრულებული პროექტი ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.

“აძვისში გზის მოსაწესრიგებლად ამ მასშტაბის სამუშაოები არასდროს ჩატარებულა. სასიამოვნოა რომ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობებს“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

ქვემო აძვისში გზის მოასფალტების პროექტი თანადაფინანსებით განხორციელდა. მისი ღირებულება 905 847 ლარია.

მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით 400-ზე მეტი ადგილობრივი და სოფლის სტუმარი ისარგებლებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობები. კოდისწყაროს ტბა. გ. ჩადუნელის ფოტო.

VI საჯარო სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის ემზადება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა ხაშურის მეექვსე საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში მეექვსე საჯარო სკოლაში სველი წერტილები სტანდარტების სრული დაცვით მოეწყობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო დაწესებულებაში ჰიგიენური პირობების დაცვას.

პროექტის ღირებულება 59 000 ლარია.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი; მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

გრან პრი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან;

პირველი პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;

მეორე პრემია – 600 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

მესამე პრემია – 500 ლარი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პრემია.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ „პოეზიის დღე – შოთაობაზე“ სოფელ რუსთავში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ გამოუქვეყნებელი, ნაბეჭდი ფორმით (არაუმეტეს 5 ლექსისა), ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა 3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.